**ΟΜΙΛΙΑ ΚΥΡΙΑΚΗΣ ΑΓΙΩΝ ΠΑΝΤΩΝ 14/6/2020 (Γεωργιανά)**

# სულთმოფენობის შემდეგი პირველი კვირა დღის, ყოველთა წმიდათა ხსენების დღისადმი მიძღვნილი სიტყვა

**14.06.2020 წ.**

დღეს ცა და დედამიწა დიდებითა და ქებით აღნიშნავს ქრისტეს ეკლესიის ურიცხვ წმინდანთა ხსენების დღეს. ამ დღესასწაულზე პატივს მიაგებენ ყველა წმინდანს, რომლებსაც, მთელ სამყაროსა და ყველა დროში, უხაროდათ უფალი. ბევრი მათგანი სახელებით ვიცით და მთელი წლის განმავლობაში მათ ხსოვნას პატივს მივაგებთ, ამის მიუხედავად, არსებობენ უფლის უამრავი უცნობი ასკეტები, და ამიტომ ეკლესიამ დააწესა სულთმოფენობის შემდეგი პირველი კვირა რათა პატივი მივაგოთ ყველა წმინდანს, რათა შეგვეძლოს ქედი მოვიხაროთ მათ წინაშე. ეს დღე არჩეული იყო კიდევ იმიტომ, რომ წმინდანები განათლდნენ თავიანთი ღვაწლით სწორედ სული წმინდის მადლით.

სინასკარის თანახმად, ყოველთა წმიდათა დასი აერთიანებს ანგელოზთა ცხრა დასს, უფლის წინაპრებს, პატრიარქებსა და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს; წმინდა მოციქულებს, მოწაფეებს, იერარქებს, წმინდა მოწამეებს, აღმსარებლებს, ასკეტებს და ყველა მართალ წმინდანებს, იქნებიან ისინი მამაკაცები, ქალები თუ ბავშვები. წმიდანთა რიგებს მიეკუთვნება მათი ურიცხვი რაოდენობა, რომელთა სახელები მხოლოდ უფლისათვისაა ცნობილი. წმინდანებთან ერთად ამ დღეს მოვიხსენიებთან და პატივს მივაგებთ კურთხეულ ქალწულ მარიამსაც.

ეს დღესასწაული დაწესებულია აგრეთვე იმისთვის, რომ გააღვიძოს ჩვენში სურნელი მივყვეთ უფლის წმინდა ასკეტების გზას იმდენად, რამდენადაც ეს შეგვიძლია გავაკეთოთ; გააღვიძოს ჩვენში სურვილი მივილტვოდეთ სიწმინდისაკენ მთელი სულითა და გულით. საშინელებაა სიწმინდეზე ფიქრიც კი, როცა იხსენებ შენს ცოდვებს და უსვამ თავს კითხვას: ,,ნუთუ ეს შესაძლებელია - მიაღწიო სიწმინდეს?".

ბევრი ადამიანი იხსენებს ისეთ დიდ წმინდანებს, როგორიცაა წმ. ნიკოლოზი მირონ - ლუკიელი, იხსენებს სხვა წმინდა მოღვაწეებსაც. მთავარია გავიგოთ, რომ ჩვენ მოწოდებულნი ვართ არა სასწაულების ჩასადენად; ჩვენი მიზანია განვუდგეთ სატანას და ვებრძოლოთ ცოდვებს. და წმინდანები, რომელთაც განვლეს თავიანთი ცხოვრება სულიერ ბრძოლებში, შეუძლიათ შეგვეწიონ ჩვენ, შეუძლიათ მხარში ამოგვიდგნენ და დაგვეხმარნონ ჩვენ ბრძოლაში.

ჩვენი მიზანია - ნათლად გავიგოთ, თუ რა აქვს უფალს მხედველობაში, როცა გვეუბნება ჩვენ: ,,წმინდა იყვენით, რამეთუ მე წმინდა ვარ" (ლევ. 20:7, 1 პეტ. 1:16), ამით ის მოგვიწოდებს ის განვუდგეთ ეშმაკს და ცოდვებს და ვიცხოვროთ უფლის ნებით, რწმენით, სიყვარულითა და ერთგულებით.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ გავხდებით წმინდანები ჩვენი ნებით. მხოლოდ ღმერთია წმინდა, და მხოლოდ ის, ვინც თანაზიარია ღმერთის და შერწყმულია მასთან, შეუძლია გაუყოს ეს სიწმინდე, რადგან ,,მე ვარ უფალი, განმანათლებელი თქვენი" (ლევ. 20:8). შეიძლება მაღალფარდოვანად ვილაპარაკოთ ქრისტეზე, გავიღოთ

მოწყალება, უხვად შევწიროთ ეკლესიას, დავესწროდ ყოველსაღვთო ლიტურღიას, ვეზიაროთ და შეიძლება სასწაულებიც ჩავიდინოთ; მაგრამ თუ ამას ადამიანი საკუთარი დიდების მოსახვეჭად აკეთებს და თავს წმინდანად აცხადებს, მაშინ ეს ღმერთისთვის არარაობაა. ასეთი ადამიანი ფარისეველზე უკეთესი არაა, რომელიც ყველა დამსახურებას საკუთარ თავს აწერს, და თუ არა ღვთის სადიდებელს. უფალმა თქვა: ,,მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, არა სახელითა შენითა ვწინასწარმეტყუელებდით, და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით? მას ჟამსა ვჰრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი ურჯულოებისანი" (მათ. 7:22-23).

ვაი მას, რომელმაც მოისმინა ადამიანთა ქება, ფიქრობს, რომ ის წმინდანი გახდა! ჭეშმარიტად განათლებული ადამიანი თავს უბრალოდ მორჩილ ცოდვილად სთვლის. გავიხსენოთ დიდი წმინდა მოციქული პავლე, რომელიც თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებში წერდა: ,,ქრისტე იესუ მოვიდა სოფლად ცოდვილთათვის ცხოვრებად, რომელთა პირველი მე ვარ" (1ტიმ. 1:15). მოდით აგრეთვე მოვიხსენიოთ წმინდა პორფირის სიტყვები, ჩვენი დროის დიდი დროის მოღვაწის; რომელიც სხვა ადამიანების ქებას პასუხობდა, რომ ის სხვა არავინაა, თუ არა უსარგებლო და უფასო ,,ძველი კონსერვის ქილა".

ჩემო ძმებო და დებო, საკუთარი ცოდვების შეცნობა - ეს სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვჭირდება! ყველა ჩვენგანმა უნდა გავათვითცნობიეროთ რომ ცოდვილები ვართ ეს ჩვენი ცხოვრების რეალობაა, იმიტომ რომ ამ ქვეყნად უცოდველი არავინაა. ეს სიმართლეა წმიმდანებთან მიმართებაშიც, რომელთა ხსენების დღესაც ავღნიშნავთ დღეს. ზოგიერთ მათგან საკმაოდ ცოდვებით სავსე ცხოვრება ჰქონდა და ისინი თავიანთი მანკიერებებით იყვნენ ცნობილები. ჩვენი, ცოდვილების, განსხვავება მათთან ის არის, რომ ისინი მონანიებით იყვნენ განწმენდილები. ისინი თავიანთი ვნებების წინააღმდეგ წავიდნენ და განკურნებულები გახდნენ ეკლესიის წმინდა საიდუმლოებების წყალობით. განათლებულები სული წმინდას მადლით, ისინი იბრძოდნენ და განღმერთებას მიაღწიეს და სახელგანთქმულები გავიდნენ როგორც წმინდანები.

ამ მოვლენის გააზრებით ჩვენ მივხვდით, რომ ყველას შეუძლია მიაღწიოს სიწმინდეს, თავისი წარმომავლობისა და სიტუაციის მიუხედავად, რომელშიც ის იმყოფება. უფლის კურთხევა - ეს ნიჭია და სწორედ ამ ნიჭის მეშვეობით შეუძლია ადამიანს რომ სიწმინდეს მიაღწიოს. უფლის სიტყვა გვარწმუნებს ჩვენ: ,,რამეთუ ესე არს ნება ღმრთისა, სიწმიდე ეგე თქუენი, განშორებად თქუენდა სიძვისაგან" (1 ეფეს. 4:3). აი რისთვის ამბობს წმინდა ეკლესია, რათა საღვთო საიდუმლოებებთან ზიარებით, სწავლის მეშვეობით და სამოძღვრო მსახურებით უფალი სიწმინდის მისაღწევად გზას გვიჩვენებს. ეს მისი ნებაა და მისი უდიდესი მადლი, რომელიც ჩვენ ყველას გვესაჭიროება. აი რატომ მოგვიწოდებს ჩვენ კვლავ უფალი: ,,მშვიდობისა შეუდეგით ყოველთა თანა და სიწმინდესა, რომლისა თვინიერ ვერვინ იხილოს უფალი" (ებრ. 12:14).

დაე შთაგონებით აგვავსოს ჩვენ წმინდანებმა, რომელთა ხსენების დღესაც ჩვენ ავღნიშნავთ დღეს და მოდით წმინდა

**საღვთო მოღვაწეების შუამავლობის წყალობით მივდიოთ მათ ნაკვალებს.**

**ამინ.**